

სახელმძღვანელო წინადადებები სტატიის შედგენისათვის

2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით

A. სტატიის შედგენა

I. სათაური

სტატიის სათაური, შექმნის დაგვარად, უნდა შედგებოდეს მხოლოდ ერთი წინადადებისაგან. თუმცა, როდესაც სტატიაში რამოდენიმე საკითხია განსახილველი, შესაძლებელია, არსებობდეს რამოდენიმე ძირითადი სათაურიცა და ქვესათაურიც.

II. ნუმერაცია

სტატიის ნუმერაციის დროს გამოიყენეთ შემდეგი საფეხურები:

I.

II.

1.

2.

a)

b)

aa)

bb)

თუმცა, გთხოვთ, *რაც შეიძლება ნაკლებ საფეხურებად* დაყოთ თქვენი სტატია.

III. შემოკლებები

სტატიის ტექსტსა და სქოლიოებში შემოკლებები როგორც წესი არ გამოიყენება. გამონაკლისია კანონის მითითება, რომელიც პირველი გამოყენების დროს სქოლიოში უნდა განიმარტოს. ასე, მაგალითად, „სსკ“¹ მითითების შემთხვევაში, ის სქოლიოში უნდა განიმარტოს. შემოკლება, გამონაკლისის სახით, დასაშვებია ასევე შემდეგ შემთხვევებში: გამოცემა („გამ.“), გვერდი („გვ.“), გვერდითი ველი („გვ. ველი“). აღნიშნულ გამონაკლისებთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ C II-ში.

¹ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია როგორც სსკ.

IV. მოცულობა

სტატიის გვერდების მაქსიმალური რაოდენობა არის 7 გვერდი, თუმცა, მისაღებია ასევე გვერდების ნაკლები რაოდენობაც. სტატია არ მიიღება ჟურნალში 7 გვერდზე მეტი სახით წარმოდგენის შემთხვევაში.

B. სასამართლო გადაწყვეტილებაზე სტატია-კომენტარის შედგენა**I. სათაურის გრაფა**

სტატია-კომენტარის სათაურად შესაძლებელია შეირჩეს როგორც სასამართლო გადაწყვეტილების ძირითადი სათაური, ასევე, ისეთი თვალსაჩინო იურიდიული ტერმინოლოგიით შედგენილი სათაური, რომელიც თვითონ სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. ასე, მაგალითად: „უმოქმედობის დასჯადობის საკითხისათვის“; „თანაამსრულებლობისა და დახმარების გამიჯვნა“.

კომენტარის სათაური, შეძლებისდაგვარად, უნდა შედგებოდეს მხოლოდ ერთი წინადადებისაგან. თუმცა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებაში რამოდენიმე სამართლებრივი საკითხია განხილული, შესაძლებელია, არსებობდეს რამოდენიმე ძირითადი სათაურიცა და ქვესათაურიც.

II. შინაარსი/აგებულება/ნუმერაცია

სტატია-კომენტარის ყველა (5) ნაწილს შორის უნდა არსებობდეს ლოგიკური კავშირი. კომენტარის დროს გამოკვეთილი უნდა იყოს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილების შეფასებისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების კომენტირება უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. საქმის შინაარსი (მოკლედ)

საქმის შინაარსში უნდა წარმოჩინდეს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია განსახილველი საკითხისთვის. საქმის შინაარსში უნდა გადმოიციეს საქმის ფაბულა იურიდიული დასკვნების გარეშე.

2. გადაწყვეტილების ძირითადი იურიდიული ასპექტები

აქ მოხდება გადაწყვეტილებაში არსებული ძირითადი იურიდიული ასპექტების წარმოჩენა.

3. პრობლემის დასმა და არსებული იურიდიული შეხედულება

ამ ნაწილში მოხდება ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული შეხედულების წარმოჩენა განსახილველ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით.

4. ავტორის იურიდიული შეხედულება და კრიტიკა

ამ ნაწილში მოხდება ავტორის იურიდიული შეხედულებისა და საკითხის გადაწყვეტის საკუთარი ხედვის წარმოჩენა.

აქვე შესაძლებელია ავტორის მიერ საკუთარი კრიტიკის წარმოჩენა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, უნდა გამოიკვეთოს შეეძლო თუ არა სასამართლოს საკითხის უკეთესად გადაწყვეტა, ან კიდევ, რა გამოჩნა სასამართლოს, და ბოლოს, რატომ არ არის მისი გადაწყვეტილება დამაჯერებელი. კრიტიკასთან ერთად, რათქმაუნდა, შესაძლებელია, რომ ავტორი დაეთანხმოს სასამართლოს დასაბუთებას ზოგიერთ ასპექტში.

5. შედეგები სასამართლო პრაქტიკისათვის (ფაკულტატური)

ამ ნაწილში შემაჯამებელი სახით გამოიკვეთება, რა ცვლილებებს იწვევს განხილული გადაწყვეტილება პრაქტიკისთვის ან კიდევ რა სიახლე გამოიკვეთა განხილულ გადაწყვეტილებაში, თუ ამ გადაწყვეტილებით მოხდა განხილული საკითხის პრაქტიკაში არსებული მიდგომისგან განსხვავებული განმარტება. აქ უნდა იმსჯელოს ავტორმა, ხომ არ შეცვალა სასამართლომ თავისი მანამდე არსებული პრაქტიკა.

III. შემოკლებები

კომენტარის ტექსტსა და სქოლიოებში შემოკლებები როგორც წესი არ გამოიყენება. გამონაკლისია კანონის მითითება, რომელიც პირველი გამოყენების დროს სქოლიოში უნდა განიმარტოს. ასე, მაგალითად, „სსკ“² მითითების შემთხვევაში, ის სქოლიოში უნდა განიმარტოს. შემოკლება, გამონაკლისის სახით, დასაშვებია ასევე შემდეგ შემთხვევებში: გამოცემა („გამ.“), გვერდი („გვ.“), გვერდითი ველი („გვ. ველი“). აღნიშნულ გამონაკლისებთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ C II-ში.

IV. მოცულობა

კომენტარის გვერდების მაქსიმალური რაოდენობა არის 6 გვერდი, თუმცა, მისაღებია ასევე გვერდების ნაკლები რაოდენობაც. სტატია-კომენტარი არ მიიღება ჟურნალში 6 გვერდზე მეტი სახით წარმოდგენის შემთხვევაში.

² ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია როგორც სსკ.

C. ტექსტსა და სქოლიოებში გასათვალისწინებელი საკითხები სტატიისათვის და სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარისთვის**I. ფორმატირება**

1. სტატიისა და სტატია-კომენტარის შედგენა ხორციელდება ვორდის დოკუმენტში (*Microsoft Word Document*).
2. შრიფტად გამოყენებული ინდა იყოს *Times New Roman*.
3. შრიფტის ზომა ტექსტში უნდა იყოს **12**, სქოლიოში კი (სქოლიოს ნიშნის ჩათვლით) **10**.
4. დოკუმენტის გვერდების განსაზღვრისთვის არჩეული უნდა იყოს „**Normal**“.
5. ტექსტში ხაზებს შორის დაშორება უნდა შეადგენდეს **1,5**.
6. სიტყვების *გამუქება ნაკლებად* უნდა იქნეს გამოყენებული. ასეთი გამუქება *შესაძლებელია*:
 - მნიშვნელოვანი იურდიული ტერმინებისა გამოყენებისა და მათი დეფინიციის დროს;
 - ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებების წარმოჩენის დროს, რათა გამოიკვეთოს ძირითადი არგუმენტები.
7. *სიტყვების დახრა* არ უნდა მოხდეს. გამონაკლისია ავტორების გვარებისა და სახელების მითითება (იქნება ეს ტექსტი თუ სქოლიო).

II. სქოლიოში ციტირება

სქოლიოს ნიშანი ტექსტში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ორი სახით:

- წერტილის ან შესაბამისი სასვენი ნიშნის შემდეგ, როდესაც სქოლიო ეხება მთლიან წინადადებას. **მაგალითად**: ლიტერატურა ამ საკითხს ძირითადად უარყოფს.³
- ცალკეული სიტყვის ან ნაწილი წინადადების შემდეგ, მაგრამ, წერტილის შიგნით, როდესაც სქოლიო მხოლოდ ამ ნაწილ წინადადებას ეხება. **მაგალითად**: ამ დიდი ხნის მანძილზე არსებულ საკამათო შეხედულებას ლიტერატურა⁴ და პრაქტიკა⁵ დღესდღეობით უკვე მხარს უჭერს.

³ წყაროს მითითება.

⁴ წყაროს მითითება.

⁵ წყაროს მითითება.

უმუალოდ სქოლიოსათვის მოქმედებენ შემდეგი წესები:

1. სქოლიოს ტექსტი ყოველთვის იწყება დიდი ასოთი. (ეს ეხება უცხო ენაზე წყაროს მითითებას).
2. სქოლიოს ტექსტი მთავრდება წერტილით.
3. **ავტორის გვარისა და სახელის** დაშორდება ხორციელდება მძიმით და ისინი იწერება დახრილად. სახელისა და გვარის შემდეგ დაისმის მძიმე. **მაგალითად:** ტურავა, მერაბ, ...
4. სტატიისა და სასამართლო გადაწყვეტილების მითითების დროს, ყოველთვის მიეთითება სტატიის ან გადაწყვეტილების **საწყისი გვერდი და დამატებით ის გვერდი**, საიდანაც ხდება კონკრეტული საკითხის ციტირება, თუ ეს კონკრეტული საკითხი საწყის გვერდზე არ არის მითითებული. **მაგალითად:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე 9, 2008, 101, 105; *ხოდელი, მაკა*, სამართლის ჟურნალი 2 (2014), 254, 256.
5. „გვ.“ (გვერდი) მიეთითება მხოლოდ კრებულიდან და მონოგრაფიიდან ციტირების დროს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც კრებულში ან მონოგრაფიაში მოცემულია გვერდითი ველები, მაშინ მიეთითება არა „გვ.“ არამედ **„გვ. ველი“** (გვერდითი ველი).
6. **კომენტარის** ციტირების დროს თავდაპირველად **იწერება ავტორის გვარი და სახელი დახრილად**, როდესაც კომენტარს აქვს თავისი საკუთარი დასახელება (მაგალითად, *Roxin, Claus*, in „Leipziger Kommentar“) ან კიდევ როდესაც მხოლოდ კომენტარის სათაურში მითითებული ავტორების მიერ არ არის დაკომენტარებული კონკრეტული საკითხი (მაგალითად, *Lenckner, Theodor*, in „Schönke/Schröder“); ამ უკანასკნელ შემთხვევაში კომენტარის გამომცემლების გვარი და სახელი დახრილად არ იწერება.
7. **ავტორის გვარისა და სახელის**, ისევე როგორც კონკრეტული **წყაროს მითითება, ყოველთვის უნდა მოხდეს სრულად**, შემოკლების გარეშე; შემოკლება **„იქვე“ არ გამოიყენება**.
8. შესაბამისი ნაშრომის მითითების დროს, ყოველთვის უნდა მიეთითოს ნაშრომის **სათაური**, შესაბამისი **გამოცემა** (ასეთი არსებობის შემთხვევაში) და **გამოცემის წელი**. ნაშრომის **გამოცემის ადგილი არ მიეთითება**.

სწორი ციტირების მაგალითები:

სახელმძღვანელოები/მონოგრაფიები (წიგნების სახელწოდებები არ უნდა შემოკლდეს!):

ავტორი, წიგნის სახელწოდება, გამ., წელი, გვ. / გვ. ველი:

ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-9 გამ., 2013, გვ. 329.

მკედელიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, 2011, გვ. 262.

Wessels, Johannes/Beulke, Werner, Strafrecht, Allgemeiner Teil, 40. Aufl., 2010, Rn. 342.

Heinrich, Bernd, Die Strafbarkeit der unbefugten Vervielfältigung und Verbreitung von Standardsoftware, 1993, S. 266.

➤ როდესაც ნაშრომის ავტორი და წიგნის გამომცემელი არ არის იდენტური:

ნაშრომის ავტორი, წიგნში, წიგნის სათაური, გამ., წელი, გვ. / გვ. ველი.

ნაჭყებია, გურამ, წიგნში:

ნაჭყებია/გორაშვილი/მამულაშვილი/თოდუა/გოგშელიძე/სულაქველიძე/დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, გვ. 87.

Heinrich, Bernd, in Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht Besonderer Teil, 2. Aufl., 2009, § 16 Rn. 7.

კომენტარები (კომენტარების სახელწოდებები არ უნდა შემოკლდეს!):

სათაური (კომენტარის დამფუძნებელი = კომენტარში კონკრეტული საკითხის ავტორს), კანონი (შემოკლებული), გამ., წელი, § გვ. ველი.

Fischer, Thomas, StGB, 60. Aufl. 2013, § 32 Rn. 3 ff.

Lackner/Kühl, StGB, 27. Aufl. 2011, § 35 Rn. 2.

➤ როდესაც კონკრეტული საკითხის ავტორი და კომენტარის დამფუძნებელი ან კომენტარის სათაური არ არის იდენტური:

კონკრეტული საკითხის ავტორი, კომენტარში, კომენტარის სათაური (შემოკლების გარეშე), კანონი (შემოკლებული), გამ., წელი, § გვ. ველი.

Schünemann, Bernd, in Leipziger Kommentar, StGB, 12. Aufl. 2007 ff., § 25 Rn. 122.

Ambos, Kai, in Münchener Kommentar, StGB, 2. Aufl. 2011 ff., § 9 Rn. 7.

კონკრეტული საკითხის ავტორი, კანონი (შემოკლებული), გამ., წელი, § გვ. ველი.

Lenckner, Theodor, in Schönke/Schröder, StGB, 26. Aufl., 2001, § 32 Rn. 43 ff.

საიუბილეო კრებული/სიმპოზიუმის კრებული (შემოკლების გარეშე):

ავტორი, საიუბილეო კრებულში, იუბილარის/კრებულის დასახელება, წელი, სტატიის საწყისი გვერდი, ციტირებული კონკრეტული გვერდი

Heinrich, Bernd, in Weber-Festschrift, 2004, S. 91, 101.

სულაქველიძე, დავით, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 191, 197.

სტატიები:

ავტორი, ჟურნალი (შემოკლების გარეშე), წელი, სტატიის საწყისი გვერდი, ციტირებული კონკრეტული გვერდი (გვ.-ს მითითების გარეშე)

ოხანაშვილი, ანრი, სამართლის ჟურნალი 2 (2009), 183, 200.

Roxin, Claus, Juristen Zeitung 2000, 99, 100.

Jäger, Herbert, Juristische Ausbildung 2001, 34, 35.

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

სასამართლო, კრებულის ნომერი/წელი, გადაწყვეტილების საწყისი გვერდი, ციტირებული კონკრეტული გვერდი (გვ.-ს მითითების გარეშე)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული სისხლის სამართლის საქმეზე, 7, 2009, 91, 93.

BGHSt 24, 396, 397; BGH NJW 2000, 3010, 3011.

D. დამატებით გასათვალისწინებელი საკითხები ავტორებისათვის

ნაშრომის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ მისი ავტორი და შესაბამისად, ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომი არ არის ამ ჟურნალის რედაქციის წევრთა აზრის გამომხატველი.

რედაქცია იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მიუთითოს ავტორს ნაშრომში ცვლილების შეტანაზე ან/და მისი შემოკლებაზე.

სტატიის ავტორებისთვის არ არის გათვალისწინებული ჰონორარი.